ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4118162

ნომერი: AR1617658

თარიღი : 20.07.2018

გაცემის თარიღი : 13.08.2018

გაცნობის თარიღი : 13.08.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლუბლიანა , N 11, კორპუსი N3;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მიხეილ მარი პ/ნ 01005000001
- თბილისი, ლუბლიანას ქ. #11

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. ტრიდე კოდი: 205206098

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 13 თებერვლის №3820091 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 20 ივლისს NAR1617658 განცხადებით მომართა მიხეილ მარიმ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2018 წლის 13 თებერვლის №3820091 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 13 თებერვლის №3820091 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, ბელიაშვილის ქუჩა, №22-ში, შპს "ტრიდე"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.02.010.075), შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (ბლოკი №5) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 13 თებერვლიდან 2018 წლის 13 აგვისტოს ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2018 წლის 13 თებერვლის №3820091 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას. კერძოდ, აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული გეგმების ჩანაცვლებას 2018 წლის 20 ივლისის NAR1617658 განაცხადებით წარმოდგენილი გეგმებით.
სამსახურმა შეისწავლა საპროექტო დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შესწორებული გეგმები შესაბამისობაშია შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოდილება და ტექნიკური შეცდომის გასწორება სამსახურის 2018 წლის 13 თებერვლის №3820091 ბრძანებაში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 13 თებერვლის №3820091 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს 2018 წლის 20 ივლისის NAR1617658 განცხადებით წარმოდგენილი გეგმებით.
2. სამსახურის 2018 წლის 13 თებერვლის №3820091 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 13 თებერვლის №3820091 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.